




ავტორები: გიორგი ნებულიშვილი, დავით კეშელავა

## საქართველოს სტაბილური ზრდა გლობალური ეკონომიკის აღდგენის გამოწვევების ფონზე



### მოკლე მიმოხილვა

[საქსტატის წინასწარი შეფასების თანახმად](#), 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოს ნომინალური მშპ 18,913.2 მილიონ ლარს შეადგენდა, რეალური მშპ-ის ზრდის წლიური მაჩვენებელი 8.4%, ხოლო მშპ-ის დეფლატორის ცვლილება 3.1% იყო. ეს ზრდა განპირობებული იყო დამატებული ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდით სხვადასხვა სექტორში: უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა გაიზარდა 18.8%-ით, განათლება – 29.1%-ით, საჯარო ადმინისტრირება და თავდაცვა, მათ შორის სოციალური უსაფრთხოება – 13.0%-ით, მშენებლობა – 10.3%-ით, ინფორმაცია და კომუნიკაცია – 12.2%-ით, ტრანსპორტირება და სასაწყობო საქმიანობა – 9.7%-ით. აღნიშნულის საპირისპიროდ, შემცირდა დამატებული ღირებულება შემდეგ სექტორებში: ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და ჰაერის კონდიცირება – 11.6%-ით, მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობა – 11.2%-ით, სამთომომპოვებითი მრეწველობა – 1.8%-ით. მშპ-ის ყველაზე დიდი წილი საბითუმო და საცალო ვაჭრობამ შეადგინა (13.5%), ამას მოჰყვებოდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა (11.1%), საწარმოო საქმიანობა (9.2%), საჯარო მმართველობა (8.3%), მშენებლობა (7.5%), განათლება (6.6%), ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (6.0%) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო საქმიანობა (5.9%). [საქართველოს ეროვნულის ბანკის](#) პროგნოზის თანახმად, 2024 წელს რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 5.6%-ს შეადგენს, რაც მცირედით ჩამორჩება საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მიერ პროგნოზირებულ 5.7%-ს (გრაფიკი 1).

2023 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა უმეტესწილად მაღალი ადგილობრივი მოთხოვნით



იყო განპირობებული. საგარეო მოთხოვნა, პირიქით, შემცირდა, რამაც გაზრდილი მიგრაციით გამოწვეული ეფექტის შემცირების გამო, უარყოფითი ზეგავლენა იქონია ზრდის მაჩვენებელზე მეოთხე კვარტალში. გასულ წელს გაზრდილმა მიგრაციამ ტურისტულ სექტორში არსებული შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, მომსახურებების ექსპორტი 87.9%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ვიზიტორთა მიერ გენერირებული შემოსავალი 2023 წელს საბაზო ეფექტის და მიგრანტების რაოდენობის შემცირების გამო შემცირდა. თუმცა ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა (განსაკუთრებით მშპ-ის მაჩვენებელში ინფორმაციული და კომპიუტერული მომსახურებების ექსპორტის წილის 0.4%-დან 2.6%-მდე ზრდამ) ხელი შეუწყო კლებით გამოწვეული შედეგის განეიტრალებასა და ეკონომიკის საერთო პოტენციალის ზრდას.

2024 წლის პირველ კვარტალში ლარი გასულ წელთან შედარებით გამყარდა, რაც მაღალი ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ზრდით იყო განპირობებული. თუმცა აღნიშნული დაკომპენსირდა საქართველოში არსებული სამომხმარებლო ფასების შედარებით დაბალი ინფლაციით, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას. ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის (REER) გამყარება განპირობებული იყო სიღრმისეული ცვლილებებით მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურაში და არა მოკლევადიანი ეკონომიკური ციკლებით. ეს ცვლილებები 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ დაიწყო და გამოიხატა საქართველოდან მომსახურებების ექსპორტის ზრდაში, უმეტესად ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტირების სექტორებში. ქვეყნის სტრატეგიულმა, სატრანზიტო ჰაბის პოზიციამ, სატრანსპორტო და ლოგისტიკური მომსახურებების ზრდა გამოიწვია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შესაძლოა ლარის კურსი მნიშვნელოვანი გაუფასურების გარეშე დასტაბილურდეს.

საქართველოს მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ ინფლაციური მოლოდინების შემცირება გამოწვია, შედეგად კი, ადგილობრივი ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე მაჩვენებელს მიუახლოვდა. აღნიშნული კლება გამოწვეული იყო მომსახურების ფასების შემცირებითა და უკანასკნელ პერიოდში უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მატებით გამოწვეული ქირავნობის გადასახადის ზრდის ეფექტის შემცირებით. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო ინფლაციის მაჩვენებლის დასტაბილურებას და ქვეყნის მონეტარულ მიზნებთან დაახლოებას ([სებ. მისი 2024](#)).

2023 წლის 1-ელ კვარტალში უმუშევრობის მაჩვენებლის ზრდასთან შედარებით (18%-ით ზრდა), 2024 წლის 1-ელ კვარტალში უმუშევრობის მაჩვენებელი 14%-ს შეადგენს ([საქსტატი](#)). სამუშაო ძალაში მონაწილეობის წლიური მაჩვენებელი 3.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 55.0% შეადგინა. [საქსტატის წინასწარ პროგნოზზე](#) დაყრდნობით, 2024 წლის 1-ელ კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი 1943.4 ლარს შეადგენს.

საერთო ჯამში, 2024 წლის 1-ელ კვარტალში საქართველოს ეკონომიკამ ძლიერი ზრდა აჩვენა, რაც ნომინალური მშპ-ის და მშპ-ის რეალური ზრდის მაჩვენებლებში გამოიხატა. დადებითი ტენდენცია შეინიშნება უძრავი ქონების, განათლების და საჯარო მმართველობის სექტორებში. საგარეო მოთხოვნის შემცირების მიუხედავად, ადგილობრივი მოთხოვნა კვლავ მაღალია, ლარი გამყარდა, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა ცვლილებებმა და საქართველოს სტრატეგიულმა პოზიციამ რეგიონული ვაჭრობის დარგში.



## ინფლაცია

წლის დასაწყისში საქართველოში ინფლაციის მაჩვენებელი მოსალოდნელ მიზნობრივ მაჩვენებელსა და მანამდე პროგნოზირებულ მაჩვენებლებზე დაბალი იყო ([საქსტატი](#)). ამ ტენდენციამ განაპირობა ინფლაციური მოლოდინების და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება, აგრეთვე ლარის რეალური გაცვლითი კურსის გამყარება. უკანასკნელი პროგნოზის თანახმად, 2024 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი **1.5%** იქნება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა პროგნოზების მაჩვენებლებს. ამის მიუხედავად, მოსალოდნელია, რომ შენარჩუნდება არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები და წლის განმავლობაში რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი **5.6%**-ს მიაღწევს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ინფლაციური მოლოდინების შემცირების გამო მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკის ნორმალიზაციის საწყისი ეტაპები დაჩქარდა, მოსალოდნელია, რომ ეს საკმაოდ ფრთხილი პროცესი იქნება. ამგვარი ფრთხილი მიდგომა განპირობებულია გაზრდილი მოთხოვნით გამოწვეული პოტენციური რისკებითა და არსებული ბუნდოვანებით როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ გეოპოლიტიკურ ასპარეზზე, რის შედეგადაც, შესაძლოა ინფლაციის დონემ პროგნოზირებულ მაჩვენებლებს გადააჭარბოს ([სებ. მაისი 2024](#)).

2024 წლის პირველ კვარტალში ლარი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გამყარდა, რაც ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებით იყო განპირობებული. აღნიშნული დაბალანსდა საქართველოში სხვა სავაჭრო პარტნიორებთან შედარებით სამომხმარებლო ფასების უფრო ნაკლები ზრდით, რაც ამცირებს პოტენციურ უარყოფით ზეგავლენას ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე.

ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარების მიზეზად განიხილება არა მხოლოდ მოკლევადიანი ციკლური ფაქტორები, არამედ მიმდინარე ანგარიშის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, განსაკუთრებით 2022 წელს, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ. ეს ცვლილებები გამოიხატება საქართველოდან მომსახურების ექსპორტის ზრდამდე, განსაკუთრებით ინფორმაციულ, კომპიუტერულ და სატრანსპორტო სექტორებში, რაც ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების შემოდინებას და ქვეყნის, როგორც საკვანძო სატრანზიტო ჰაბის ფუნქციის შესრულებას შუა დერეფანში. ამ სტრატეგიულმა პოზიციამ გამოიწვია ტვირთბრუნვისა და ლოგისტიკური მომსახურებების ექსპორტის შესამჩნევი ზრდა საქართველოს მასშტაბით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლარის კურსის დასტაბილურების პროცესში შესაძლოა საერთოდაც არ მოხდეს ნომინალური გაცვლითი კურსის საგრძნობი გაუფასურება.

2024 წლის პირველ კვარტალში, ვალუტის კურსის ცვლილებების შედეგად, ლარი აშშ დოლართან მიმართებით 0.9%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით 0.1%-ით გაუფასურდა. ლარი თურქულ ლირასთან მიმართებით 8.5%-ით გამყარდა, რუსულ რუბლთან მიმართებით კი 1.0%-ით გაუფასურდა. საერთო ჯამში, ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურ ჭრილში 1.9%-ით, ხოლო წლიურ ჭრილში 13.1%-ით გამყარდა. მიუხედავად ამისა, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კვარტალურ ჭრილში 1.3 %-ით გაუფასურდა, ხოლო წლიურ ჭრილში 0.6%-ით გამყარდა. ეს უმეტესწილად გამოწვეული იყო ლარის გამყარებით რუსულ რუბლთან მიმართებით ([სებ. მაისი 2024](#)).

2024 წლის 1-ელ კვარტალში მონეტარული პოლიტიკა გაყვა დაღმავალ ტრენდს და შედეგად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები ადგილობრივ ვალუტაში. ეროვნულ ვალუტაში **დეპოზიტის**



საპროცენტო განაკვეთი **0.3 პროცენტული პუნქტით** შემცირდა და **10.5%** შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი **2.3%-მდე** გაიზარდა. შემცირდა **სესხების მაჩვენებელიც**: შემცირდა იპოთეკური და ბიზნეს-სესხები ეროვნულ ვალუტაში, რაც განპირობებული იყო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებით. ბიზნეს სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი მანამდე არსებული **11.9%-იდან 1.9 პროცენტული პუნქტით** შემცირდა.

2023 წელს გლობალური ფინანსური გამოწვევების ფონზე უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთის ზრდის მიუხედავად, 2024 წელს შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა. შემცირდა განსხვავება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის. პოლიტიკის შემსუბუქების შემდგომ, მარტში სამომხმარებლო, ბიზნეს და იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთები შემცირდა. 2024 წლის 1-ელ კვარტალში გაიზარდა მოთხოვნა ბიზნეს-სესხებზე, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ამ ტიპის სესხების პირობები შემსუბუქდა. საბანკო სექტორში მომავალ კვარტალში მოსალოდნელია სესხის პირობების შემსუბუქება როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში სესხების შემთხვევაში.

საქართველოს მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად, გასული წლის შემდეგ შემცირდა ინფლაციური მოლოდინები, ხოლო ინფლაციის მაჩვენებელი სამიზნე 3%-ს მიუახლოვდა. აპრილში ინფლაციის მაჩვენებელი 2.5%-ს შეადგენდა, რაც უმეტესწილად განპირობებული იყო გრძელვადიანი ფაქტორებით და მოლოდინებით. ცვლილებაში 2.9-პროცენტის წვლილი შეიტანა მომსახურების ფასების შემცირებამ, რამაც ხელი შეუწყო ინფლაციის მთლიანი მაჩვენებლის შემცირებასაც. ბინის ქირის ზრდა, რაც გასულ წელს უცხოელი ვიზიტორების გაზრდილი ნაკადით იყო განპირობებული, შემცირდა და ამჯერად მხოლოდ 0.6-პროცენტის წვლილი შეიტანა მომსახურების ფასების ინფლაციის მაჩვენებლის შემცირებაში.

იმპორტირებული საქონლის ფასები, რომელიც 2023 წლის დასაწყისიდან მცირდებოდა და იმპორტირებული ინფლაციის კომპონენტის შემცირებას უწყობდა ხელს, აპრილში 3.5%-ით გაიზარდა, რაც უმეტესწილად ნავთობის გლობალური ფასების ზრდის ფონზე საწვავის გაძვირებით იყო გამოწვეული. ტრანსპორტირების ხარჯები წინა წლის ბოლოს, წითელი ზღვის კრიზისის შედეგად გაიზარდა, შემდეგ სტაბილურად მცირდებოდა აპრილის ბოლომდე, მაგრამ კვლავ დაიწყო ზრდა მაისის დასაწყისში. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა იმ სატრანსპორტო ხარჯების უშუალო რისკი, რომლებიც პროდუქტის ფასებზე ახდენს ზეგავლენას, ფასების ზრდა გადაზიდვების სფეროში შემფოთების საგანია იმდენად, რამდენადაც შესაძლოა მომავალში ხელი შეუწყოს ინფლაციის მაჩვენებლის ზრდას. [\(სებ, მაისი 2024\).](#)

### საგარეო სექტორი: ვაჭრობა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2024 წლის დასაწყისში არსებულმა დაბალმა საგარეო მოთხოვნამ გამოიწვია გარედან შემოდინებული ფულადი სახსრების და ადგილობრივი ექსპორტის შემცირება. ამავდროულად, შემცირდა მოთხოვნა ავტომობილებზე, რის შედეგადაც შემცირდა ავტომობილების რეექსპორტი. შემცირდა რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან შემოდინებული სწრაფი ფულადი გადარიცხვების ოდენობა, რაც საბაზო ეფექტით და მიგრანტების გადინებით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, შემცირდა ექსპორტის ხარჯები და სტრუქტურულმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, რაც ინფორმაციულ,





კომპიუტერულ და სატრანსპორტო სექტორებში მომსახურების ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. აღნიშნულის შედეგად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი შემცირდა და 2023 წელს ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულს, მშპ-ის 4.3%-ს მიუახლოვდა.

2024 წლის 1-ელ კვარტალში დაბალი საგარეო მოთხოვნის და ლარის გამყარებით გამოწვეული შემცირებული კონკურენტუნარიანობის გამო ვაჭრობის სექტორში, საქონლის ექსპორტი ნომინალური 9.3%-ით, ხოლო რეალური 8.9%-ით შემცირდა. შემცირება უმეტესწილად შუალედურ საქონელს შეეხო, განსაკუთრებით სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს, რაც განპირობებული იყო ჩინეთის სამშენებლო სექტორის მხრიდან მოთხოვნის შემცირებით. ფასის ვარდნის შედეგად დაბალი იყო ფეროშენადნობების ექსპორტის მაჩვენებელიც, მცირე გაყიდვები განხორციელდა თურქეთში, ეგვიპტესა და აშშ-ში. შემცირდა ქიმიური და მინერალური სასუქების ექსპორტიც ინდოეთსა და პერუმში.

ამის საპირისპიროდ, სამომხმარებლო საქონლის ექსპორტის შემცირების მიუხედავად, მცირედით გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში. გაიზარდა ნატურალური ყურძნის ღვინოების, ალკოჰოლური სასმელების, მინერალური წყლების და მედიკამენტების ექსპორტიც. შემცირდა საინვესტიციო საქონლის ექსპორტი, რაც უმეტესწილად საქონლის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ავტომობილების და მონაცემთა ავტომატური დამუშავების დანადგარების ექსპორტის შემცირებით იყო გამოწვეული ([საქსტატი](#)).

2024 წლის 1-ელ კვარტალში, გასულ წელთან შედარებით, **8.6%**-ით გაიზარდა საერთაშორისო ვიზიტორების რიცხვი, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ **13.2%**-ით ჩამოუვარდება პანდემიამდელ მაჩვენებელს. 2022 წელს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ვიზიტორთა გაზრდილმა შემოდინებამ კლება დაიწყო. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა ვიზიტორთა რიცხვი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, თურქეთიდან და ყაზახეთიდან. მიუხედავად უცხოელი ვიზიტორების გაზრდილი შემოდინებისა, საერთაშორისო მოგზაურობების შედეგად გენერირებული შემოსავალი სულ რაღაც წლიური **1.5%**-ით გაიზარდა და **808 მილიონ აშშ დოლარს** მიაღწია. ეს მაჩვენებელი განპირობებულია იმით, რომ შემცირდა მიგრაციის ეფექტი, ხოლო ზოგიერთი მიგრანტი რეზიდენტად კლასიფიცირდა. მიუხედავად ამისა, არამეზობელი ქვეყნებისა და ევროკავშირიდან შემოდინებული ვიზიტორების შედეგად მიღებული შემოსავალი კვლავ განაგრძობდა ზრდას ([საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2024](#)).

2024 წლის 1-ელ კვარტალში, საქართველომ სწრაფი ფულადი გზავნილების სახით 806 მლნ აშშ დოლარი მიიღო, რაც 35.8%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ([სებ](#)). ამგვარი შემცირება გამოწვეულია საბაზო ეფექტით და რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებით. ფულადი გზავნილების თავდაპირველი საგრძნობი ზრდა განპირობებული იყო მიგრანტების გაზრდილი ერთჯერადი შემოდინებით, შემდეგ კი ეს ეფექტი შემცირდა. თუმცა, რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირების მიუხედავად, გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა სხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი, აშშ-დან, ისრაელიდან და ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, რაც განპირობებული იყო აღნიშნულ რეგიონებში გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობით.

2024 წლის 1-ელ კვარტალში, დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკის მიუხედავად,



საქართველოში შემცირდა მოთხოვნა იმპორტულ საქონელზე. იმპორტის მაჩვენებელი ნომინალურად შემცირდა, განსაკუთრებით ინფლაციის მხედველობაში მიღებისას. საგრძნობლად შემცირდა რეექსპორტისათვის განკუთვნილი ავტომობილების იმპორტი, რამაც ხელი შეუწყო მთლიანი მაჩვენებლის შემცირებას ([სებ, მაისი 2024](#)).

2024 წლის 1-ელი კვარტლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოდან განხორციელებული შუალედური საქონლის იმპორტი, რამაც ყველაზე შესამჩნევი გავლენა იქონია იმპორტის მთლიანი მაჩვენებლის შემცირებაზე. ეს უმეტესწილად განპირობებული იყო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, აგრეთვე ნავთობაირების იმპორტისა და რეექსპორტის შემცირებით. შესამჩნევი იყო სომხეთიდან რეექსპორტის მიზნით სპილენძის მადნების იმპორტის შემცირება. შემცირდა სამომხმარებლო საქონლის, განსაკუთრებით ავტომობილების იმპორტიც, რაც განპირობებული იყო როგორც რეექსპორტის შემცირებით, ისე ახალი რეგულაციებით. ევრო 5-ის სტანდარტების დანერგვამ, რომელთა თანახმადაც იკრძალება 2013 წლამდე წარმოებული ავტომობილების იმპორტი, გამოიწვია ასეთი ტიპის ავტომობილებზე მოთხოვნის შემცირება, როდესაც მანამდე ამგვარი ავტომობილების იმპორტი მთლიანი ავტო იმპორტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. ამის საპირისპიროდ, გაიზარდა საინვესტიციო საქონლის იმპორტი, რაც სატრანსპორტო და სპეციალური ტიპის, აგრეთვე რეექსპორტისათვის განკუთვნილი ავტომობილების შესყიდვის გაზრდილი მაჩვენებლით იყო განპირობებული ([საქსტატი](#)).

2023 წელს საქართველოს სავაჭრო დეფიციტი გაიზარდა გაზრდილი იმპორტის გამო. იმპორტირებული საქონელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ექსპორტირებული საქონლის მაჩვენებელს, განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში, რაც განპირობებული იყო დაბალი საგარეო მოთხოვნით. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნიდან განხორციელებული მომსახურების ექსპორტი, რაც განპირობებული იყო საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული დიდი შემოსავლით და სტრუქტურული ცვლილებებით მომსახურების სფეროში, განსაკუთრებით კი ტრანსპორტირებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული მომსახურებების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასების ზრდის მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალი იყო, დასაქმებულთა ანაზღაურება კვლავ მაღალი დარჩა, რამაც ხელი შეუწყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას ისტორიულ მინიმუმამდე და მშპ-ის 4.3% შეადგინა.

2023 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ფინანსირების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 24%-ით შემცირდა და 1.6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 3.9%-ს შეადგენდა. ამგვარი შემცირება უმეტესწილად განპირობებული იყო სავალო ინსტრუმენტების და რეინვესტირების მაჩვენებლის შემცირებით. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა სააქციო კაპიტალში განხორციელებულმა ინვესტიციებმა, რომელთაგან უმრავლესობაც საწარმოო და ფინანსურ სექტორებში განხორციელდა. 2023 წელს შემცირდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, რაც დიდწილად განპირობებული იყო დანაზოგის ზრდით, მიუხედავად იმისა, რომ განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებელი არც თუ ისე მაღალი იყო. 2024 წლის 1-ელ კვარტალში შემოდინებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 201.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1-ელი კვარტლის ნომინალური მშპ-ის 1.07%-ს შეადგენს ([საქსტატი](#)).



## საბარო ფინანსები

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე სამთავრობო ხარჯებმა 2024 წლის 1-ელ კვარტალში 4,512 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 19.75%-ით აღემატება. ამგვარი ზრდა ძირითადად განპირობებული იყო სოციალურ შეღავათებსა (+16.75% წ/წ) და საქონლისა და სერვისების გამოყენებაზე (+20.78% წ/წ) გაწეული ხარჯებით. საპროცენტო ხარჯის ზრდის მაჩვენებელი წლიურ +36.17%-ს, ხოლო გრანტების სახით გაცემული ხარჯების ზრდის მაჩვენებელი წლიურ 46.59%-ს შეადგენდა.

ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავალი წლიური 26.46%-ით გაიზარდა და 5,593 მილიონი ლარი შეადგინა. ამ ზრდას ხელი შეუწყო დაწესებული დამატებული ღირებულების გადასახადით (+9.74% წ/წ), საშემოსავლო გადასახადებითა (+12.73% წ/წ) და აქციზის გადასახადებით (+18.71% წ/წ) მიღებული შემოსავლის ზრდამ. 2024 წლის 1-ელ კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტმა 281,2 მილიონი ლარი შეადგინა, (მშპ-ის 1.5%), რაც დიდად არ განსხვავდება წინა წლის მაჩვენებლისგან ([საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2024](#)).

სახელმწიფოს ვალი (რომელიც მოიცავს როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალს) წინა წელთან შედარებით 6.86%-ით გაიზარდა და 32,376.2 მლნ ლარი შეადგინა 2024 წლის 1-ელ კვარტალში (მშპ-ის 40.3%). გარდა ამისა, საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში კვლავ 73%-ს შეადგენდა, რამაც მცირედით შეამცირა ქვეყნის მოწყვლადობა გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.